იდენტობა, აკადემიური თვითეფექტურობა და აკადემიური მიღწევა უნივერსიტეტის სტუდენტებში

თამარ მაჭარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ მაჭარაშვილი

17.06.2023

აბსტრაქტი

კვლევები, რომელშიც იდენტობა, აკადემიური თვითეფექტურობა და აკადემიური მიღწევაა ნაკვლევი, ძირითადად ჩატარებულია სკოლის მოსწავლეებთან, სწორედ ამიტომ არის საინტერესო მათი კვლევა სტუდენტებში, ვინაიდან ამ ასაკობრივ დიაპაზონში ხდება იდენტობის გადაწყვეტა, შესაბამისად სტუდენტებს უკვე აქვთ ჩამოყალიბებული ღირებულებები და მიზნები, ასევე იდენტობა, აკადემიური თვითეფექტურობა და აკადემიური მიღწევა მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების აკადემიურ და პროფესიულ წარმატებაში.

კვლევის მიზანი იყო დაედგინა კავშირი იდენტობას, აკადემიურ თვითეფექტურობასა და აკადემიურ მიღწევას შორის. განესაზღვრა, არის თუ არა იდენტობის სინთეზი და აკადემიური თვითეფექტურობა, აკადემიური მიღწევის პრედიქტორები, ასევე, გამოეკვეთა სქესის მიხედვით განსხვავება აკადემიურ თვითეფექტურობასა და აკადემიურ მიღწევაში.

კვლევაში მონაწილეობდა 150 სხვადასხვა საფეხურის სტუდენტი, მათგან 75 მდედრობითი (*M*=1.5, *SD*=.502) და 75 მამრობითი (*M*=1.5, *SD*=.502), რომელთა ასაკიც მერყეობს 18-დან 30+ წლამდე (*M*=1.52, *SD*=.783).

მონაცემების დამუშავებისას გამოყენებულია კორელაცია, რეგრესია და T დამოუკიდებელი. შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი იდენტობას, აკადემიურ თვითეფექტურობასა და აკადემიურ მიწევას შორის. ასევე, გამოიკვეთა, რომ სტუდენტის აკადემიური თვითეფექტურობით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ აკადემიური მიღწევა. რაც შეეხება, სქესის მიხედვით განსხვავებას სტუდენტების აკადემიურ მიღწევასა და აკადემიურ თვითეფექტურობას შორის, ამ ორ ცვლადს შორის სქესის მიხედვით განსხვავება არ დაფიქსირდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობა, იდენტობის აღრევა, იდენტობის სინთეზი, აკადემიური თვითეფექტურობა, აკადემიური მიღწევა.

Abstract

Studies in which identity, academic self-efficacy and academic achievement are studied are mainly conducted with schoolchildren, that is why their research among students is interesting, since identity is resolved in this age range, therefore students already have established values and goals, as well as identity, academic self-efficacy and academic achievement. It plays an important role in personal academic and professional success.

The purpose of the study was to determine the relationship between identity, academic self-efficacy, and academic achievement. It was determined whether identity synthesis and academic self-efficacy are predictors of academic achievement, and gender differences in academic self-efficacy and academic achievement were identified.

150 students of different levels participated in the study, 75 of them were women (M=1.5, SD=.502) and 75 were men (M=1.5, SD=.502), whose ages ranged from 18 to 30+ years (M=1.52, SD= .783).

Correlation, regression and independent T were used in data processing. The results showed a significant relationship between identity, academic self-efficacy, and academic achievement. Also, it was revealed that academic achievement can be predicted by student's academic self-efficacy. Regarding gender differences between student's academic achievement and academic self-efficacy, no gender differences were observed between these two variables.

Key words: Identity, identity confusion, identity synthesis, academic self-efficacy, academic achievement.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს მაია წერეთელს, რომელიც მუდმივად ჩართული იყო კვლევის და ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა რჩევებს და რეკომენდაციებს, მეხმარებოდა ყველა სიძნელის დაძლევაში. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო ჯავახიშვილის, რომელმაც სამაგისტრო სემინარის ფარგლებში გამიწია ხელმძღვანელობა და დამეხმარა სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული საკითხების ჩამოყალიბებაში.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.